საბროკერო კომპანია - სს „ჰერითიჯ სიქიურითიზ“ (ს/კ: 205286457) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბროკერო კომპანია - სს „ჰერითიჯ სიქიურითიზ“ (ს/კ 205286457, განკარგულების ნომერი: N97) „პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 13 თებერვლის N36/04 ბრძანების საფუძველზე 1 000 (ერთი ათასი) ლარით დააჯარიმა.

აღნიშნული მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევას.